

ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფის სამოქმედო გეგმა

„სახელმწიფო უწყებებში არსებული სამოქალაქო ჩართულობის ინსტრუმენტები და პრაქტიკები“

მაისი-ნოემბერი

განახლებულია 30.07.2019

	საკითხი/ეტაპი	ვადა	კომენტარი
1.	თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნა და მისი წარდგენა ბიუროზე.	27-28 მაისი	ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსთვის საკითხის წარდგენა. საბჭოს მიერ საკითხის მოწონება. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს გადაწყვეტილების და ჯგუფის შემადგენლობის ბიუროსთვის წარდგენა.
2.	მოწვევა დადასტურებული პოზიციების წარმოდგენაზე.	28 მაისი	თემატური მოკვლევის ჯგუფის მიერ პარლამენტის ვებ-გვერდზე ჯგუფის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და სამუშაო პროცესში მონაწილეობით დაინტერესებული ორგანიზაციების მოწვევა.
3.	დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეხვედრა.	30 მაისი	თემატური მოკვლევის ჯგუფის შეხვედრა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, რომელთაც გამოხატეს მზადყოფნა თემატურ მოკვლევაში მონაწილეობის შესახებ.
4.	დადასტურებული პოზიციების წარმოდგენის პერიოდი.	28 მაისი - 14 ივნისი	თემატურ მოკვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მიერ კითხვარის საფუძველზე შედგენილი დასაბუთებული მოსაზრებების წარდგენა მოკვლევის ჯგუფისთვის. დასაბუთებული მოსაზრებები წარმოდგენილი უნდა იქნეს ჯგუფის მიერ განსაზღვრული ფორმატის მიხედვით.
5.	დასაბუთებული მოსაზრებების მიღება, გამოქვეყნება და დამუშავება მოკვლევის ჯგუფის მკვლევარის მიერ	14 ივნისი - 1 ივლისი	მოკვლევის ჯგუფის მიერ დაინტერესებული ორგანიზაციებისგან დასაბუთებული მოსაზრებების მიღება, დოკუმენტების პარლამენტის ვებ გვერდზე განთავსება. დასაბუთებული მოსაზრებების ჯგუფის წევრებისთვის გაგზავნა. მოკვლევის ჯგუფის მკვლევარის მიერ მიღებული დოკუმენტების დამუშავება და ჯგუფის წევრებისთვის წარდგენა.
სესიებს შორის პერიოდი 28 ივნისი - 3 სექტემბრით (შეჩერებულია ვადის დინება) შესაბამისად დასაბუთებული პოზიციების მიღება იწარმოებს 3 სექტემბრამდე			
6.	დასაბუთებული მოსაზრებების განხილვა თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრების მიერ	3 სექტემბერი - 15 სექტემბერი	თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრების მიერ დასაბუთებული მოსაზრებების დამუშავება და განხილვა. ძირითადი მიგნებების გამოკვეთა და დამაზუსტებელი შეკითხვების განსაზღვრა. საკითხის დაზუსტების მიზნით, ზეპირ სხდომაზე მოსაწვევი ორგანიზაციების განსაზღვრა.

			სამთავრობო უწყებებიდან გამოსათხოვი ინფორმაციის დაზუსტება. ზეპირ სხდომაზე მოსაწვევი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლების განსაზღვრა.
7.	დადასტურებული პოზიციების ზეპირი მოსმენა (ოქმები)	15 სექტემბერი - 30 სექტემბერი	ჯგუფის მიერ ზეპირი მოსმენების გამართვა მოკვლევაში მონაწილე დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
8.	საჯარო უწყებების ზეპირი მოსმენა (ოქმები)	30 სექტემბერი - 17 ოქტომბერი	ჯგუფის მიერ ზეპირი მოსმენების გამართვა მოწვეულ სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან.
9.	თემატური მოკვლევის ჯგუფის მკვლევარის მიერ დასკვნის (ანგარიშის) მომზადება	17 ოქტომბერი - 28 ოქტომბერი	დასკვნა დაეფუძნება მოკვლევის პროცესში წერილობითი ფორმით და ზეპირი მოსმენებით მიღებულ დასაბუთებულ მოსაზრებებს. დასკვნის პროექტი წარედგინება მოკვლევის ჯგუფს.
10.	თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრების მიერ დასკვნისა და რეკომენდაციების (ანგარიშის) განხილვა და მიღება	28 ოქტომბერი - 1 ნოემბერი	მოკვლევის ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის განხილვა და დოკუმენტის საბოლოო ტექსტზე შეთანხმება. დასკვნაში მითითებული, დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე რეკომენდაციების პროექტის შემუშავება.
11.	დასკვნის და რეკომენდაციების პროექტის წარდგენა მუდმივმოქმედი საბჭოსთვის	28 ოქტომბერი - 1 ნოემბერი	თემატური მოკვლევის ჯგუფი საბოლოო დასკვნას და რეკომენდაციების პროექტს წარუდგენს დასამტკიცებლად მუდმივმოქმედ საბჭოს.
12.	რეკომენდაციების წარდგენა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებებისთვის	28 ოქტომბერი - 1 ნოემბერი	თემატური ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციები გასაცნობად წარედგინება აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებს.
13.	თემატური მოკვლევის დასკვნის ბიუროსთვის წარდგენა საკითხის პლენარულ სხდომაზე განხილვის მიზნით	1 ნოემბერი - 4 ნოემბერი	საბჭო თემატური მოკვლევის ჯგუფის დასკვნას წარუდგენს ბიუროს, პლენარულ სხდომაზე განხილვის მიზნით.
14.	საკითხის პლენარულ სხდომაზე განხილვა	თარიღი განისაზღვრება ბიუროს სხდომაზე	საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად საკითხი განსახილველად წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას.